# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/118 “ 18 ” ივნისი 2021 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**„სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ზოგიერთი ქმედების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 5 ივნისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 14 ივნისის №10-5334 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე დისტანციურად სასამართლო საქმისწარმოებისას აუცილებლობას წარმოადგენს საქმეში მონაწილე პირებთან სატელეფონო კომუნიკაცია, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს საკითხი სხდომის მდივნების პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლებისათვის 10 ლარის ოდენობით სატელეფონო ლიმიტის დაწესებისა და შესაბამისად, საერთო სასამართლოებში საკომუნიკაციო ხარჯის ლიმიტის გაზრდის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. „სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ზოგიერთი ქმედების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 5 ივნისის №1/56 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) განსაზღვროს გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტი თვეში 18 000 ლარის ოდენობით.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი